24/04/2024

MES 5 24 0000461210

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 11 აპრილს 12:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Apr 11, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=87263167240
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234
საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი
ეკატერინე გოლიაძე - სასწავლო სატრენინგო ცენტრის უფროსი
გიორგი ჩიჩუა - სასწავლო სატრენინგო ცენტრის უფროსის მოადგილე
თინათინ გურამიშვილი - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი
ნათია შათირიშვილი - დირექტორი
ნინო ქიტიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ომარ პაპაშვილი - „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ირმა ბოგდანი - „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
თეა თაყნიაშვილი - „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი
ელენე გვეტაძე - დირექტორი
ანა ჯავახიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით
რუსუდან ბაბაკიშვილი - დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში

სსიპ კოლეჯი ქართლი
ხათუნა ლობჟანიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ჯონი (ჯემალ) ხაჩიძე - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:

ია გელენიძე
ხათუნა მაისაია
ლია ავალიანი
ნიკა თიკანაშვილი
ირმა ღარიბაშვილი
მაია ხურცილავა
ვალერი ჯაჯანიძე
ალექსანდრე კეკენაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /01824/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /01878/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „კლასიკური მასაჟი“ /01838/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ კოლეჯი ქართლის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები“ /01865/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ კოლეჯი ქართლის „ხელით ელექტრო რკალური შედუღება“ /01866/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ კოლეჯი ქართლის „ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული პროგრამა Oris“ /01877/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ კოლეჯი ქართლის „ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი“ /01875/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
8. სსიპ კოლეჯი ქართლის „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ /01876/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /01824/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ია გელენიძემ, მან განაცხადა, რომ პირველი ვიზიტი, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში (შემდგომში - სასწავლო სატრენინგო ცენტრი) განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 15 დეკემბრის №1557592 და 22 დეკემბრის №1588750 ბრძანებების საფუძველზე, 2024 წლის 08 იანვარს, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის, სალომე ქუთათელაძის და დარგის ექსპერტის, ია გელენიძის მიერ.
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტი განხორციელდა იურიდიული პირის ფაქტობრივ მისამართზე ქ. თბილისში, ელ. მინდელის ქ. №7-ში, სადაც, განთავსებულია დაწესებულების ადმინისტრაციული ოფისი, ხოლო, პროგრამის განხორციელების ადგილის, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №232-ს დათვალიერება მოხდა მხოლოდ დისტანციურად, რადგან ადგილზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად, ვერ განხორციელდა სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის შეფასება.
იურიდიულ პირს 2024 წლის 23 თებერვლის №205806 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორცილების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

გადაწყვეტილებით განესაზღვრა 30 კალენდარული დღე პროფესიული მომზადების პროგრამის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ ხარვეზის გამოსასწორებლად.
იურიდიულმა პირმა განსაზღვრულ ვადაში გამოასწორა ხარვეზი და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 15 მარტის №314187 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ია გელენიძემ განახორციელეს ვიზიტი 2024 წლის 28 მარტს სასწავლო სატრენინგო ცენტრში, მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №232.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა 1 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 45, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №232.
განმეორებითი ვიზიტის დროს შეფასებულ იქნა **2.2 და 2.4 ქვესტანდარტი.**
გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, მათი ადეკვატურობა დასტურდება დასაწყობებული საგანმანათლებლო რესურსებით (მულაჟები) და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით. ასევე, ადგილზე შეფასდა A და C სასწავლო გარემო. სასწავლო გარემოები, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა დასრულებულია და სრულად შესაბამისობაშია. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 3 სასწავლო გარემო, ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაკმაყოფილებულია 2.4 ქვესტანდარტი - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. მტკიცებულად წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სახანძრო - ტექნიკური მდგომარეობა შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციის წარმოდგენისთვის და წარმატება უსურვა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /01824/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს (ს/კ:

205307960) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პირველადი გადაუდებელი დახმარება /01824/ **(დანართი 1)**.

2. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /01878/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ხათუნა მაისაიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის №140534 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ხათუნა მაისაიამ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 29 თებერვალს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისში, თბილისში, აღმაშენებლის გამზირი №189 სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა 5 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 80, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №189.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

წარმოდგენილი პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი. ამ პროგრამის განხორციელების არჩევანი განაპირობა, ერთი მხრივ, მაღალმა მომართვიანობამ, აკადემიის მიერ უკვე დაგროვილმა სწავლების გამოცდილებამ და ასევე, ბაზარზე ამ მიმართულებით მაღალმა მოთხოვნამ.

პროგრამა დაინტერესებულ პირებს შეასწავლის პირველადი გადაუდებელი დახმარების ელემენტებს და განსახორციელებელ ქმედებებს; პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტი-ფიცირებას; გადაუდებელი დახმარების გაწევას გულსისხლძარღვთა და სუნთქვის მოშლილობით მიმდინარე მდგომარეობების დროს; პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფას ტრავმების, სისხლდენების დროს; უბედური შემთხვევების

დროს პროცესების მართვის წესებს. პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება. პროგრამის მოცულობა 45 საათია. პროგრამა განხორციელდება 5 კვირის განმავლობაში AC გარემოში, ასევე პარტნიორ ორგანიზაციასთან.

დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს 2 პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულება. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ერთი განმახორციელებელი პირი იქნა დამატებული, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებელ პირს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის ორ განმახორციელებელ პირთან გასაუბრება, აღნიშნულ პირებს გამოცდილებასთან ერთად აქვს მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა დაწესებულების აუდიტორიები და მატერიალური რესურსი, რის საფუძველზეც დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებისათვის პროგრამაში მითითებული ყველა რესურსი ადგილზეა, რისი დათვალიერებაც მოხდა ადგილზე. გარდა ამისა, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება იგეგმება პარტნიორ ორგანიზაციაში - შპს ,,ავერსის კლინიკა“, რომელთანაც გაფორმებულია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში დასაქმებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

კლინიკა მზადაა ერთდროულად პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მიიღოს 32 მსმენელი. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნია სწავლების გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.

წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ მიმდინარეობასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი ,,სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ შესაბამისობის შესახებ.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, დარგის ექსპერტის განცხადებით მესამე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2023 წელს აკადემიამ მოიპოვა ოთხი პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება, „ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი“, „პრაქტიკული ბუღალტერია“, „სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელ დაწესებულებაში“ და „ესთეტიკური კოსმეტოლოგიის სპეციალისტი“.

ერთი ნაკადი აღნიშნულ პროგრამებზე დასრულებულია, ამ ეტაპზე ხორციელდება პრაქტიკული ბუღალტერია - 32 მსმენელი. სერტიფიკატები ჯერ არ გაცემულა, ტიპოგრაფიაში გადაცემულია დასაბეჭდად. ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა სერტიფიკატის ნიმუში და სარეგისტრაციო ჟურნალი.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წლების მანძილზე საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო ამ პროგრამასთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ 2016 წლიდან ახორციელებს ორგანიზაცია ამ მიმართულებით პროგრამებს, არა მხოლოდ ფიზიკური პირებისგან შემოდიოდა მოთხოვნა და სურვილი ამ პროგრამასთან

დაკავშირებით, არამედ კომპანიებისგან შემოდიოდა მოთხოვნა თანამშრომლების გადამზადების კუთხით. ვინაიდან დიდი ხანი არაფორმალურად ახორციელებდა დაწესებულება ამ პროგრამას, სურვილი გაუჩნდათ, რომ ფორმალურ სივრცეში განხორციელებულიყო აღნიშნული პროგრამა, შესაბამისად, კურსდამთავრებულებზე გაცემულიყო სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ /01878/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის (ს/კ: 400306860) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პირველადი გადაუდებელი დახმარება /01878/ **(დანართი 2).**

საბჭოს სხდომა 12:48 წუთზე დატოვა საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ.

3. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „კლასიკური მასაჟი“ /01838/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 6 თებერვლის №120824 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ლია ავალიანმა შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური მასაჟის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 26 თებერვალს განახორციელეს ვიზიტი შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში, მისამართზე ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას №7.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 2.2 - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილ გარემოში შეუძლებელია ერთდროულად 12 მსმენელის მიღება, ვინაიდან არ არის აღნიშნულ გარემოში საკმარისი აღჭურვილობა, კერძოდ სამასაჟე ტახტები. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიძინოს დამატებით სამასაჟე ტახტი, მინიმუმ ერთი, რაც უზრუნველყოფს ჯგუფში 6 მსმენელის მიღებას. შესაბამისად დარღვეულია აღნიშნული სტანდარტი, ასევე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვლნილ გარემოში ვერ მოთავსდება მესამე სამასაჟე ტახტი, ფართობის სიმცირის გამო.

გაიცა რეკომენდაცია 1.2, 1.3 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.2 - რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამის თემატიკაში ჩაიშალოს კლასიკური მასაჟის მეთოდები, ვინაიდან შინაარსიდან კარგად არ იკითხება, თუ რომელ მეთოდებს შეისწავლიან მსმენელები.

ქვესტანდარტი 1.3 - აღნიშნული პროგრამის მიზანში არ უნდა იყოს ჩანაწერი - „ასევე, პროგრამა ხელს შეუწყობს მასაჟისტთა პროფესიული დონის ამაღლებას“, რეკომენდებულია ეს ჩანაწერი ამოღებულ იქნას პროგრამის მიზნიდან, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, კერძოდ, ეხება მხოლოდ კლასიკურ მასაჟს. ასევე, პროგრამის აღწერის ნაწილში არ უნდა იყოს შემდეგი ჩანაწერი - „კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს რეაბილიტაციის ცენტრებში, სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე“. რეკომენდებულია ამოღებულ იქნას - რეაბილიტაციის ცენტრებში, ხოლო სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე დაემატოს ასეთი ჩანაწერი - კლასიკური მასაჟის კაბინეტის არსებობის შემთხვევაში. ასევე, სასურველია ადამიანის ანატომიის საკითხების შესწავლა დაიწყოს არა ნევროლოგიით, არამედ ამ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასურველია პროგრამის თემატიკის ნაწილში დაზუსტდეს ის საკვანძო საკითხები/თემატიკა, რაც მნიშვნელოვანია პროგრამისთვის.

ქვესტანდარტი 1.6 - რეკომენდებულია, აღნიშნული პროგრამის მე-4 და მე-6 სწავლის შედეგის ფორმულირება დაკორექტირდეს, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის

შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-5, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას ქ. №7.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მოკლევადიანი მომზადების/გადამზადების პროგრამის დამატება/დანერგვის საჭიროების და მოთხოვნადობის გამორკვევის მიზნით, სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან: ა) მოეწყო შეხვედრები/-კონსულ-ტაციები დარგის სპეციალისტთან, გამოიკითხა 128 პირი, მოკვლევიდან ამოსული ინფორმაციის საფუძველზე, მომზადდა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოკვლევის ანგარიში და შესაბამისი პროგრამა.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა „კლასიკური მასაჟი“, რომელიც ბმაშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, ზემოთ აღინიშნა, რომ ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია.

პროგრამის მიზანთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მე-5 მუხლში გაწერილია, თუ როგორ ხდება აპლიკანტების მიღება.

წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონედ დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა მე-4 დონე, ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან და პროგრამის ჩარჩოს დონედ განისაზღვრა მე-5 დონე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს.

წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას, ზემოთ აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია მეოთხე და მეექვსე სწავლის შედეგის ფორმულირების დაკორექტირება.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 10 კვირაა, კვირეული დატვირთვა - 12 საათი, სულ საათების რაოდენობა - 120. სწავლება განხორციელდება დაწესებულების ფართზე, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფლია AC გარემო.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის შესახებ და ასევე, სასწავლო სახელმძღვანელოებით.

რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, დაწესებულების მიერ გამოყოფილ AC ტიპის გარემოში შეუძლებელია ერთდროულად პრაქტიკულ მეცადინეობაზე 12 მსმენელის განთავსება. ვინაიდან დაწესებულებას ამ გარემოში აქვს მხოლოდ 2 სამასაჟე მაგიდა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მხოლოდ 4 მსმენელის ერთდროულად მიღება იქნება შესაძლებელი.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება მხოლოდ 12 მსმენელის მიღებას აპირებს ერთ მიღებაზე. ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოს დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, შექმნილი გარემო პირობები სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული მომზადების პროგრამა არ არის უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა რომ 3.1-3.6 ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია, რაც შეეხება 3.7 ქვესტანდარტს ვერ შეფასდა ამ ეტაპზე გამოცდილების არ არსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტოები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს გამოეთქვა მოსაზრება წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამულ ნაწილში არ არის ხარვეზი და ექსპერტთა ჯგუფი შემოიფარგლა რეკომენდაციებით, საჭიროა პროგრამაში ცვლილებების შეტანა, მნიშვნელოვანია ამ რეკომენდაციების გათვალისწინება.
ნინო ბაბალაშვილი, ასევე, დაინტერესდა დაშვების წინაპირობებთან და პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ამ წინაპირობების გათვალისწინებით 120 საათი საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად, ზოგადად, ანატომიის ასეთი მინიმალური ცოდნით შესაძლებელია კლასიკური მასაჟის ჩატარება, რადგანაც კლასიკური მასაჟი მოიაზრებს კლასიკურად სწორად, მასაჟის ილეთების ჩატარებას. რა თქმა უნდა, კლასიკური მასაჟი არის პირველი ეტაპი მასაჟის კვალიფიკაციაში, თუ ეს იქნება პრაქტიკული სამუშაოდან გამომდინარე, ჯანმრთელი ადამიანის სხეულის აგებულებას შეისწავლის მსმენელი, თუმცა მხოლოდ პროფილაქტიკური და პრევენციული მიზნით, და არა სამკურნალოდ. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ მხოლოდ პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში წარმოდგენილ გარემოსთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა, ვინაიდან აღნიშნული გარემო არ არის საკმარისი მოთხოვნილი რაოდენობის მსმენელების მისაღებად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზთან და გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს, მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და დასძინა, რომ ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და უკვე მუშაობს ჯგუფი ამ საკითხებთან დაკავშირებით, რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, ამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულება შეიძენს სამასაჟე ტახტს, რაც მისცემს საშუალებას დაწესებულებას ერთ ჯგუფში 6 მსმენელის მიღებისა, შესაბამისად 24 ის ნაცვლად, მიიღებენ 12 მსმენელს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „კლასიკური მასაჟის“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელს (ს/კ: 202056764) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - კლასიკური მასაჟი /01838/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

მეოთხე საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, პრეზენტატორს, დარგის ექსპერტს პრობლემა შეექმნა ონლაინ ჩართვის, საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, მეოთხე საკითხის ნაცვლად მეხუთე საკითხი „ხელით ელექტრო რკალური შედუღება“ /01866/ იქნა განხილული.

4. სსიპ კოლეჯ ქართლის „ხელით ელექტრო-რკალური შედუღება“ /01866/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 27 თებერვლის №224106 (ცვლილება ბრძანება №263211, 2024 წლის 4 მარტის ცვლილება ბრძანებაში) ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 19 მარტს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ბანას ქ. №15, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ხელით ელექტრო-რკალური შედუღება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.3, 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში

1.3 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, მიზანი სრულად მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

2.3 ქვესტანდარტი - პროფესიული მომზადების პროგრამაში მოცემულია სასწავლო რესურსი. საგანმანათლებლო დაწესებულებას დამატებით გააჩნია ისეთი სასწავლო რესურსი, რომელიც

საჭიროა პროგრამით განსაზღვრული ისეთი თემატიკების შესასწავლად, როგორიცაა - ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები - ENISO11611:2009; ISO 4063-2008; სსტ, ISO, EU; EN-3834; ISO 9606.
აღნიშნული დამატებითი მასალა არ არის მითითებული პროგრამის სასწავლო რესურსების პუნქტში, შესაბამისად: მიზანშეწონილია, სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდეს პროფესიული მომზადების პროგრამაში იმ სასწავლო რესურსის ჩამატება, რომელიც გააჩნია საკუთრებაში ელექტრული სახით.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა 13 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, 2023-2026 წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 3 სკოლის მშენებლობა და 4 სკოლის სრული რეაბილიტაცია.
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით იწყება „საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის პროგრამის" განხორციელება, რომლის ფარგლებში სარეაბილიტაციოდ შერჩეულია ხაშურის მუნიციპალიტეტის 10-მდე სკოლა.
2024 წლიდან იწყება 4 ახალი ბაღის მშენებლობა და მომდევნო წლებში, ასევე, დაგეგმილია ერთი ბაღის რეაბილიტაცია. კვლევის ანალიზის შედეგად იდენტიფიცირდა, რომ გამოკითხულ ფიზიკურ პირთა 6,8%-სთვის საინტერესო მიმართულებაა შედუღების სფერო. (2022 წ). კოლეჯს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს შპს. ,,გეოინჟინერინთან", ი/მ გ. ხ-თან და შპს ,,დაგისთან". აღნიშნული მემორანდუმებით, ძირითადად უზრუნველყოფილი იქნება წარმატებულ კურსდამთავრებულთა დასაქმება.
პროგრამის მიზანთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ პროგრამის მიზანი უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, მიზანი სრულად მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
წარმოდგენილ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, ასაკი: 18 წელი, ჯანმრთელობის ცნობა. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.
პროგრამა ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით; პროგრამის ხანგრძლივობაა 13 კვირა, მოიცავს თეორიულ და პრაქტიკული სწავლებას. პროგრამა განხორციელდება კოლეჯის სასწავლო აუდიტორიასა და სასწავლო სახელოსნოში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს 2 პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულებები. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებელს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.
დაწესებულებას პროგრამის მიზნებისთვის გამოყოფილი აქვს A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია საჭირო რესურსი. ასევე დაწესებულებას ეზოში აქვს სახელოსნო, სადაც წარმოდგენილი აქვს ყველა საჭირო ინვენტარი. მატერიალურ - ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას. სასწავლო რესურსთან დაკავშირებით ზემოთ აღინიშნა, რომ გაიცა რეკომენდაცია ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, მესამე სტანდარტი, ძირითადად გამოცდილების არ არსებობის გამო, არ ექვემდებარება შეფასებას, ვინაიდან კოლეჯმა პირველად შემოიტანა პროფესიული მომზადების პროგრამები განხორციელების უფლების მოპოვებისათვის. თუმცა წარმოდგენილი აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები - ხარისხის მექანიზმები, მსმენელთა ჩარიცხვის და შეფასების წესი. პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდა კითხვები და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ქართლის „ხელით ელექტრო-რკალური შედუღება“ /01866/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხელით ელექტრო-რკალური შედუღება /01866/ **(დანართი 3)**.

5. სსიპ კოლეჯ ქართლის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები“ /01865/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნიკა თიკანაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 27 თებერვლის №224106 ბრძანების (ცვლილება ბრძანება №263211, 2024 წლის 4 მარტი) საფუძველზე მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ნიკა თიკანაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 18 მარტს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტის, დაბა სურამში, ბანას ქ. №15, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ზოგადი ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.3 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში
1.3 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, მიზანში გამოჩნდეს პროგრამის სპეციფიკა და დასაქმების არეალი, მიზანი სრულად მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
2.3 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია სასწავლო რესურსის გამრავალფეროვნება, პროგრამის შესაბამისი შინაარსის მქონე თანამედროვე ლიტერატურის დამატების გზით.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა 13 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ ,,ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესრულების“ პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავების საჭიროება განპირობებულია, როგორც გლობალური და სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ისე ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევის, ადგილობრივი ეკონომიკური სუბიექტების გამოკითხვისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასთან/საკრებულოსთან გამართული საქმიანი შეხვედრების საფუძველზე.
ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევის ფარგლებში, გამოიკითხა როგორც ფიზიკური პირები, ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების ხელმძღვანელები. საქმიანი/გაცნობითი შეხვედრა გაიმართა სააქციო საზოგადოება „ენერგო პრო-ჯორჯია“-ს სამხრეთ საქართველოს ფილიალის ოფისის მენეჯმენტთან და სათაო ოფისის წარმომადგენელთან. კოლეჯის წარმომადგენლების მხრიდან სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების შემდეგ, გაირკვა ენერგეტიკის სფეროში, კერძოდ, ელექტროობის მიმართულებით კადრების /სპეციალისტების მწვავე დეფიციტი.
კოლეჯის მიერ ,,ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების” პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელება კონცეპტუალურად მიზანშეწონილია, ვინაიდან ეს პროგრამა პირდაპირ თანხვედრაშია კოლეჯის, როგორც მულტი პროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასთან და მის სტრატეგიულ განვითარებასთან: აღნიშნული პროგრამის განხორციელება რელევანტურია იმ გეოგრაფიული არეალის ჭრილში - ხაშურის მუნიციპალიტეტში, რომელსაც ემსახურება დაწესებულება.
წარმოდგენილი პროგრამის მიზანთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის მიზანი იყოს უფრო მკაფიო, გამოჩნდეს პროგრამის სპეციფიკა და დასაქმების არეალი.
აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და ასაკი - 18 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

პროგრამა ითვალისწინებს 4 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობაა 13 კვირა, პროგრამა განხორციელდება კოლეჯის სასწავლო აუდიტორიასა და სასწავლო სახელოსნოში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილია 2 პირი, რომელთაც უდასტურდებათ კვალიფიკაცია, მატერიალური რესურსი სრულად აქვს დაწესებულებას, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
დარგის ექსპერტის განცხადებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად, როგორც მეოთხე საკითხის ფარგლებში, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები ერთი დაწესებულების მიერაა წარმოდგენილი.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და განაცხადა, რომ რეგიონისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა აღნიშნული პროგრამის განხორციელება. მან დასძინა, რომ მიესალმება წარმოდგენილი მრავალფეროვანი პროგრამების განხორციელებას რეგიონში, მითუმეტეს ასეთ გარემოში. მან განაცხადა, რომ არ ჰქონდა კითხვები წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით და სიტყვა გადასცა დაწესებულების ხელმძღვანელს.

დაწესებულების ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან განაცხადა, რომ პირველად შემოაქვს დაწესებულებას წარმოდგენილი პროგრამები და დასძინა, რომ ერთობლივი ძალისხმევით ღირსეულად შემოვიდოდა დაწესებულება ბაზარზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი ქართლის „ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები“ /01865/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები /01865/ **(დანართი 4)**.

6. სსიპ კოლეჯ ქართლის „ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული პროგრამა Oris“ /01877/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მაია ხურცილავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 27 თებერვლის №224107 ბრძანების (ცვლილება, ბრძანება №263212, 2024 წლის 4 მარტი) საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტმა მაია ხურცილავამ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 18 მარტს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტის, დაბა სურამში, ბანას ქ. №15, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული პროგრამა Oris'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.3 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში
1.3 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, მიზანი სრულად მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
2.3 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია სასწავლო რესურსის გამრავალფეროვნება, პროგრამის შესაბამისი შინაარსის მქონე თანამედროვე ლიტერატურის დამატების გზით, კერძოდ, სასწავლო რესურსებში მიეთითოეს ის საკანონმდებლო აქტები, რომელიც პროგრამის მსმენელს დასჭირდება სწავლის და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა 19 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამში, ბანას ქ. №15.
2022 წლის იანვარში დაწესებულების მიერ დისტანციურად ჩატარდა ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა ფიზიკური პირების სეგმენტზე. კვლევის ანალიზის შედეგად

დადგინდა, რომ გამოკითხულთა 19,9%-სთვის საინტერესო და საჭირო მიმართულებაა ბუღალტერია, რამდენადაც სპეციალობით დასაქმება-თვითდასაქმების დიდ შესაძლებლობებს ხედავენ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მიმდინარე ეტაპზე ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1,300-ზე მეტი აქტიური რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტი, რომელთაც მომსახურეობას უწევენ ერთეული კვალიფიციური ბუღალტრები, სწორედ ამან განაპირობა დაწესებულების მიერ ამ პროგრამის შემუშავება.
აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და ასაკი - 18 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე, უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობაა 19 კვირა, პროგრამა განხორციელდება კოლეჯის სასწავლო აუდიტორიაში. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილია 3 პირი, რომელთაც უდასტურდებათ კვალიფიკაცია, მატერიალური რესურსი სრულად აქვს დაწესებულებას, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო რესურსთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად, როგორც მეოთხე საკითხზე, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები ერთი დაწესებულების მიერაა წარმოდგენილი.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადაეცა საბჭოს წევრს ნინო ველთაურს, რომელიც დაინტერესდა პროგრამის შედეგებთან და თემატიკასთან დაკავშირებით, მან მიმართა დარგის ექსპერტს სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, კერძოდ, მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგების მიხედვით მსმენელი აღნიშნულ პროგრამაზე მიიღებს ცოდნას მხოლოდ საფუძვლების დონეზე, ასევე, გასაგებია, რომ კურსდამთავრებული ვერ იქნება ბუღალტერი და ასევე დასძინა, რომ სწავლის შედეგებიდან არ იკითხებოდა ბუღალტრული პროგრამა ORIS-თან დაკავშირებით, თუ რა ცოდნას შეიძენდა მსმენელი, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული ნამდვილად ვერ იქნებოდა ბუღალტერი, მას შეეძლებოდა დასაქმება მხოლოდ ოპერატორის პოზიციაზე.
ნინო ველთაურმა განმარტა, რომ რაოდენ წარჩინებული არ უნდა ყოფილიყო კურსდამთავრებული, მას მხოლოდ და მხოლოდ ბუღალტერიის საფუძვლებში ექნებოდა ცოდნა მიღებული. დარგის ექსპერტმა აღნიშნულთაან დაკავშირებით განმარტა, რომ ეთანხმებოდა საბჭოს წევრს იმ ნაწილში, რომ სახელწოდება უფრო ფართო იყო, ვიდრე ეს სწავლის შედეგებიდან იკითხებოდა, თუმცა მან დასძინა, რომ განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ სახელწოდება მარკეტინგულად უფრო მომგებიანი იყო, რაზეც ნინო ველთაურმა აღნიშნა, რომ სახელწოდება იყო შეცდომაში შემყვანი. არ უნდა გაუჩნეს მოლოდინი კურსდამთავრებულს და დამსაქმებელს, რომ მათ ეყოლებათ კვალიფიციური ბუღალტერი. ნინო ველთაურმა განაცხადა, რომ თუ პროგრამის სახელწოდება დაკორექტირდებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონს ნამდვილად სჭირდება ბუღალტრები, დამწყები სპეციალისტები, ასევე, იგი შეეხო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კვლევის ნაწილს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ერთეული კვალიფიკიური ბუღალტრები რამდენიმე ორგანიზაციას ემსახურებიან, თუმცა მან, ასევე, დასძინა, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები ამ პრობლემას ვერ გადაჭრიან. მომზადება/გადამზადების ფუნქცია არის ვიწრო სპეციალობის კადრების მომზადება, თუმცა ეს პროგრამა ვერ იქნება ის პროგრამა, რომელიც ასეთ კადრებს მოამზადებს ბაზრისთვის.

წარმოდგენილი პროგრამა რომ იყოს გადამზადების, ალბათ ამდენი კითხვები არ იქნებოდა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. სასურველია სწორი მოლოდინები იყოს. მიესალმება იმას, რომ რეგიონში ასეთი პროგრამები იქნება განხორციელებული, თუმცა ვერ მისცემდა ხმას ამ სახით პროგრამის უფლების მინიჭებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, რომ ასეთი სახით, ალბათ, უფრო ვადის განსაზღვრის შესახებ იმსჯელებდა საბჭო.
დარგის ექსპერტის განცხადებით, სასურველი იქნებოდა, თუ სწავლის შედეგებს დაემატებოდა ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და საბუღალტრო პროგრამა ORIS.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელმაც განაცხადა, რომ ეთანხმებოდა წარმოდგენილ პროგრამაში ასეთი სახის ცვლილებების შეტანას.
ცენტრის წარმომადგენელმაც გამოთქვა მოსაზრება საბუღალტრო პროგრამა ORIS-სთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ რადგანაც არ ჩანს სწავლის შედეგებში ეს საკითხი, სასურველი იქნებოდა დაწესებულებას ერთთვიანი ვადა განსაზღვროდა ხარვეზის გამოსწორებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ ქართლის „ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული პროგრამა ORIS“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული პროგრამა ORIS /01877/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

7. სსიპ კოლეჯ ქართლის „ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი“ /01875/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 4 მარტის №263209 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ქართლში, მის: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 1.2 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში, ასევე, გაიცა რეკომენდაცია 1.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტნდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება ,,ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი“ საჭიროებს მეტ კონკრეტიკას და დაზუსტებას, რამდენადაც საუბარია ძრავას მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემაზე და ამავე დროს არაა დაკონკრეტებული ძრავას სახეობა, შესაბამისად პროგრამის დასახელება ვერ იძლევა ინფორმაციას რა ტიპის ძრავას მექანიზმებისა და სისტემების სერვისი განიხილება პროგრამით, საუბარია ელექტრო, შიგაწვის, რეაქტიულ, როტორულ თუ სხვა ტიპის ძრავაზე.

ქვესტანდარტი 1.6 - დასახვეწი და გადასამუშავებელია პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგი; კვირის სასწავლო თემატიკებში ზოგიერთი საკითხები არის დასაკორექტირებელი და ფორმულირება შესაბამისობაში მოსაყვანი სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

რეკომენდაცია:

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების და თემატიკების გადამუშავებისა და კორექტირების შემდეგ პროგრამის მიზანი უფრო მეტად დაკონკრეტდეს და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება, სადაც წარმოდგენილია კოლეჯის და სხვადასხვა უწყების მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშები.

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფისა და ხაშურში მოქმედი ავტოსერვისის პროვაიდერი ორგანიზაციების ხელმძღვანელების საინფორმაციო/გაცნობითი შეხვედრებისა და მათთან სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ ავტოსატრანსპორტო

საშუალების სერვისის სფეროში კვალიფიციური კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტია. სერვის ცენტრები მუდმივად საჭიროებენ სამუხრუჭე სისტემების ტექნიკოსებს, ძრავისა და სავალი ნაწილების მექანიკოსებს, ელექტრიკოსებსა და ავტომობილების დიაგნოსტიკოსებს. ავტოსერვისის ადგილობრივ ბაზარზე დაკვირვებით და პროვადერების გამოკითხვით დაფიქსირდა კონკრეტულად ძრავის სპეციალისტების მწვავე დეფიციტი. რადგან არც ხაშურის და არც მიმდებარე მუნიციპალიტეტებში (ქარელი, ბორჯომი, საჩხერე) არ არსებობენ კვალიფიციური პროვაიდერები და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება მხოლოდ კერძო სახელოსნოებში არასისტემურად, ფრაგმენტული სწავლებებით. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა შეექმნა კოლეჯს მოკლევადიანი ,,ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისის" პროფესიული მომზადების პროგრამა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება ,,ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი" არ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი. მიზანშეწონილია პროგრამის დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებსა და პროგრამის შინაარსთან.

აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და ასაკი - 18 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.

პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას, დაფიქსირებული ხარვეზის თანახმად, დასახვეწია პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგი; ასევე, თემატიკებში ზოგიერთი საკითხი არის დასაკორექტირებელი და ფორმულირება შესაბამისობაში მოსაყვანი სწავლის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 13 კვირა, სწავლება განხორციელდება კოლეჯის A და C სასწავლო გარემოში. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილია 2 პირი, რომელთაც უდასტურდებათ კვალიფიკაცია, მატერიალური რესურსი სრულად აქვს დაწესებულებას, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის 90% ეთმობა.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება C სასწავლო გარემოში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები - შპს „ნიუ მოტორსთან"; ი/მ ვ. ფ. და დ. ხ.-სთან, რომელთაც აქვთ მულტიფუნქციური ავტო სახელოსნოები. აღნიშნულ ავტოსერვისის პროვაიდერებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს თანამშრომლობას მსმენელებისათვის გაცნობითი პრაქტიკის გატარების მიზნით თავიანთ სახელოსნოებში, ასევე, წარმატებულ კურსდამთავრებულთა დასაქმებას. სასწავლო რესურსთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამაც სსიპ კოლეჯ ქართლის მიერაა წარმოდგენილი.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არ არის მზად იმისთვის, რომ მიენიჭოს განხორციელების უფლება, დარგის ექსპერტმა დეტალურად წარმოადგინა

პრეზენტაციაში ყველა ის პრობლემური საკითხი, რაც პირველ სტანდარტთან მიმართებაში იქნა დაფიქსირებული და დასძინა, რომ სახელწოდება, მიზანი, სწავლის შედეგები და თემატიკა თანხვედრაში უნდა მოვიდეს ერთმანეთთან და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, გაეთვალისწინებინათ დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ ქართლის „ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ძრავის მექანიზმებისა და საწვავით კვების სისტემის სერვისი /01875/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

8. სსიპ კოლეჯი ქართლის „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ /01876/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 4 მარტის №263210 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ალექსანდრე კეკენაძემ განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ქართლში (შემდგომში - კოლეჯი) მის: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.3, 1.6 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში
ქვესტანდარტი 1.3 - პროგრამის მიზნის აღწერაში არ ჩანს კომპიუტერული ქსელის საკითხები, რომელიც არის გათვალისწინებული სახელწოდებაშიც და მისაღწევ სწავლის შედეგებში, ამიტომ მიზანშეწონილია, კომპიუტერული ქსელის საკითხების შესახებ ინფორმაცია მიზანშიც იყოს გათვალისწინებული.
ქვესტანდარტი 1.6 - სასწავლო კვირის თემატიკებში ზოგიერთი საკითხები არის დასაკორექტირებელი და შესაბამისობაში მოსაყვანი სწავლის შედეგებთან მიმართებაში, ასევე, დასაზუსტებელია თემატიკაში გამოყენებული ტერმინოლოგია.
ქვესტანდარტი 2.3 - დარგიდან გამომდინარე, რომელიც მუდმივად ვითარდება, სასურველია მოხდეს სასწავლო რესურსების განახლება. გასაუბრების დროს პედაგოგებიც დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას და დაადასტურეს, რომ მათ აქვთ ინფორმაცია და ხელმისაწვდომობა ახალ ლიტერატურაზე და მოხდება სწავლების პროცესში მათი გამოყენება.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4, პროგრამის ხანგრძლივობა 18 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება, სადაც წარმოდგენილია კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშები.
ხაშურის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება კომპიუტერის ტექნიკურ-აპარატურული, ქსელური და პროგრამული მხარდაჭერის სპეციალისტების მწვავე დეფიციტი - პროფესიონალი კადრი ერთეულია და მათზეა გადანაწილებული მთელი მუნიციპალიტეტის (ქალაქი, დაბა და 82 სოფელი) სხვადასხვა დაწესებულებებისა და ფიზიკური პირების მომსახურება. კოლეჯი ქართლის მიერ ,,კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერის" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელება კონცეპტუალურად მიზანშეწონილია, ვინაიდან ეს პროგრამა პირდაპირ თანხვედრაშია კოლეჯის, როგორც მულტიპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასთან და მის სტრატეგიულ განვითარებასთან. აღნიშნული პროგრამის განხორციელება რელევანტურია იმ გეოგრაფიული არეალის ჭრილში - ხაშურის მუნიციპალიტეტში, რომელსაც კოლეჯი ქართლი ემსახურება.
პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან. პროგრამის სწავლის შედეგები და პროგრამის სახელწოდება თანხვედრაშია, არ არის შეცდომაში შემყვანი.
აღნიშნული პროგრამის მიზანთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მიზანში არ ჩანს კომპიუტერული ქსელის საკითხები, რომელიც არის გათვალისწინებული სახელწოდებაშიც და

მისაღწევ სწავლის შედეგებში, ამიტომ მიზანშეწონილია, კომპიუტერული ქსელის საკითხების შესახებ ინფორმაცია მიზანშიც იყოს გათვალისწინებული.
აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და ასაკი - 18 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
პროგრამა ითვალისწინებს 15 სწავლის შედეგის მიღწევას, რეკომენდაციის თანახმად სასწავლო კვირის თემატიკებში ზოგიერთი საკითხი არის დასაკორექტირებელი და შესაბამისობაში მოსაყვანი სწავლის შედეგებთან მიმართებაში, ასევე, დასაზუსტებელია თემატიკაში გამოყენებული ტერმინოლოგია.
პროგრამის ხანგრძლივობაა 18 კვირა, სწავლება განხორციელდება კოლეჯის A, B სასწავლო გარემოში. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილია 2 პირი, რომელთაც უდასტურდებათ კვალიფიკაცია, მატერიალური რესურსი სრულად აქვს დაწესებულებას, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროფესიული მომზადების პროგრამისთვის შენობაში გამოყოფილია შესაბამისი B სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია ერთდროულად 15 მსმენელისთვის შესაბამისი მატერიალური რესურსი. სასწავლო რესურსთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე, თუმცა, რეკომენდებულია, დარგიდან გამომდინარე, რომელიც მუდმივად ვითარდება, მოხდეს სასწავლო რესურსების განახლება. გასაუბრების დროს განმახორციელებლებიც დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას და დაადასტურეს, რომ მათ აქვთ ინფორმაცია და ხელმისაწვდომობა ახალ ლიტერატურაზე და მოხდება სწავლების პროცესში მათი გამოყენება.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად, როგორც სხვა საკითხების ფარგლებში.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, სასურველი იქნებოდა, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაშიც დაწესებულებას ჰქონოდა საშუალება ყველა რეკომენდაციის გათვალისწინების და მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ეთანხმებოდნენ ერთთვიანი ვადის განსაზღვრას ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ ქართლის „კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული

მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ ქართლს (ს/კ: 243919033) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერა /01876/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:05 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01824	პირველადი გადაუდებელი დახმარება	მომზადება	მეხუთე	1	ქართული	45	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №232

დანართი 2

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01878	პირველადი გადაუდებელი დახმარება	პროფესიული მომზადება	მეხუთე	5	ქართული	80	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №189

დანართი 3

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01866	ხელით ელექტრო-რკალური შედუღება	პროფესიული მომზადება	მესამე	13	ქართული	15	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01865	ზოგადი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	პროფესიული მომზადება	მესამე	13	ქართული	15	ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ახალი ბანას ქ. №15